

შპს "საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი

LTD "THE SCIENTIFIC CENTER OF INGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE

ტელ:577588218 599179823(032)2227704 **E-mail:**

d.tabatadze@gtu,ge

06.11.2019 №09-08-91

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №103-ში (ს/კ 01.13.08.009.002) მდებარე ალადაშვილის სახელობის კლინიკის შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით

ქ. თბილისი

2019 წელი

ვამტკიცებ ცენტრი”-ს დირექტორი
„_____” დ.ტაბატაძე
„06” „_____” 2019 წ

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №103-ში (ს/კ 01.13.08.009.002) მდებარე ალადაშვილის სახელობის კლინიკის შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით

შემსრულებლები:

ექსპერტი, პროფესორი დ. ჯანყარაშვილი

ქ. თბილისი

2019 წელი

შემადგენლობა

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი 3
2. გამოყენებული აპარატურა 3
3. გამოყენებული ლიტერატურა 4
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 6
6. დანართი 7

1. ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

2019 წლის 28 ოქტომბერს შპს „ალადაშვილის სახელობის კლინიკა“ ის გენერალურ დირექტორ ქეთევან ბეთანელსა (პ/ნ 404514762) და ცენტრი-ს დირექტორს დემურ ტაბატაძეს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად დაგვევალა ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №103-ში (ს/კ 01.13.08.009.002) მდებარე ალადაშვილის სახელობის კლინიკის შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით

2. გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი „STANLEY TLM 3000“№1-77-930;
2. ციფრული ფოტო აპარატი „FUJIFILM” №1WR51706;
3. სკლერომეტრული ჩაქუჩი „ELCOMETER 181“ №11005989;

3. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „გაცემის წესისა და სანებართვო პირობეების შესახებ“;

2. სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

3. სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი;

4.სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;

5. СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ. განახლება);

6. СП 13-102-2003, Правила обследования технического состояния несущих строительных конструкций зданий и сооружений.

4. კვლევითი ნაწილი

გამოსაკვლევი შენობა მდებარეობს ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №103-ში (ს/კ 01.13.08.009.002). ის სამსართულიანია, გეგმაში რთული ფორმისაა და მდებარეობს ოდნავ დახრილ რელიეფზე. შენობა უსარდაფოა. შენობას აქვს უზნაძის ქუჩიდან შესასვლელი. ის შედგება ექვსი ფლიგელისაგანი, რომელთაგან სამი უზნაძის ქუჩის პარალელურია, ხოლო ორი მათგანი მართობულად და ერთი დახრილად არიან განლაგებული. ფლიგელები უერთდებიან ერთმანეთს დერეფნების დახმარებით. შენობას აქვთ ოთხი პატარა ეზო. ფლიგელების გეგმაში ზომებია: 15.00X33.00 მ; 15.00X39.00 მ; 15.00X53.00 მ; 21.00X7.00 მ და 7.00X9.00 მ.

კონსტრუქციულად თვითეული ფლიგელი გადაწყვეტილია, მზიდი კედლების სქემით. მზიდი კედლები ეყრდნობა ლენტურ საძირკველს, რომლებიც აგურის წყობით არის შესრულებული სისქით 115 სმ, ზედმაშენი ასევე აგურის წყობით არის განხორციელებული სიგანით 95 სმ. შენობა დაფუძნებულია დელუვიური პროლუვიური გენეზისის მუქი ყავისფერი ძნელად პლასტიკურით თიხნარ გრუნტზე: საანგარიშო წინაღობით R₀=25 კპა. შენობის მზიდი კონსტრუქციები წარმოდგენილი სამი გრძივი და რიგი განივი კედლების სისტემით აშენებულია წითელი აგური წყობით, სისქით სამი აგური. სართულების გადახურვა ფლიგელების განივად განლაგებულ ლითონის ოტრესებრ კოჭებს შორის შევსებული აგურის თაღისებრი გადახურვით. სართულებს შორის კავშირი განხორციელებულია რკინაბეტონის კიბეების და ლიფტის დახმარებით. მისაღებში მოწყობილია პანდუსი მძიმე ავადმყოფების მისაღებად. ფლიგელების სახურავები ორქანობიანია და შესრულებულია თუნუქის ბურულისგან ხის შეფიცვრაზე. მზიდ კონსტრუქციად გამოყენებლია ხის ნივნივები, რომლებიც ე ყრდნობა ხის მაუერლატს, ხოლო ცენტრში ხისავე დგარებს. ქვემოდან ჭერი შეფიცრულია.

შენობის ვიზუალურ დათვალიერებით დადგინდა, რომ მის მზიდ კონსტრუქციებს გააჩნია საძირკვლების ჯდენის და სეისმური ზემოქმედების შედეგად კედლებზე ბზარები, რომელიც ამჟამად დასტაბილიზებულია. ფლიგელებს არ აქვს ანტისეისმური სარტყელები. მხოლოდ შენობის უკანა მხარეს ბოლო ფლიგელს აქვს ანტისეისმური სარტყლები. სარტყლების უქონლობის და სხვა მიზეზების გამო ნაგებობის ექსპლოტაცია 8 ბალიან სეისმურ ზონაში საშიშია.

დამკვეთს სურს შენობის სახურავის მოხსნა, ანტისეისმური სარტყლების მოწყობა და მანსარდის ტიპის ერთი სართულის დაშენება მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით. მოცემული მდგომარეობით ეს მიზანშეწონილი არ არის. აღნიშნული რეკონსტრუქციის ჩატარების მიზნით უნდა შესრულდეს შემდეგი ღონისძიებები:

2. რეკონსტრუქციის შემდეგ, ფუძე-გრუნტზე გადაცემული დატვირთვები მოიმატებს. შესაბამისად, უნდა შესრულდეს სათანადო კონსტრუქციული ანგარიშები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. მოხდეს კედლების და ღიობების გაძლიერება ლითონის ელემენტებით.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია, იგი უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, სადაც გათვალიწინებული იქნება კვლევაში მითითებული ღონისძიებები.რეკონსტრუქციის პროექტი

უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნებს დაცვით.

გამოკვლევის ამსახველი ფოტოფიქსაცია მოცემულია დანართში.

4. დასკვნა

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №103-ში (ს/კ 01.13.08.009.002) მდებარე ალადაშვილის სახელობის კლინიკის შენობის მდგრადობის გამოკვლევით დადგინდა:

1. შენობის ვიზუალურ დათვალიერებით დადგინდა, რომ მის მზიდ კონსტრუქციებს გააჩნია საძირკვლების ჯდენის და სეისმური ზემოქმედების შედეგად ბზარები, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ნაგებობის მდგრადობაზე. შენობის ხის მასალა ცუდ მდგომარეობაშია, საჭიროებს განახლებას. შენობას არ აქვს ანტისეისმური სარტყელი. მისი უქონლობის და სხვა მიზეზების გამო ნაგებობის ექსპლოტაცია 8 ბალიან სეისმურ ზონაში საშიშია;

3. დამკვეთს სურს შენობის სახურავის მოხსნა, ანტისეისმური სარტყლების მოწყობა და მასარდის ტიპის ერთი სართულის დაშენება მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით.

4.სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია, იგი უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით,სადაც გათვალიწინებული იქნება კვლევაში მითითებული ღონისძიებები. ის უნდა შესრულდეს გაანგარიშების საფუძველზე სათანადოდ დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით, სამშენებლო ნორმებისა და წესების(სეისმომედეგი მშენებლობა) მოცემული გეომეტრიული ზომების დაცვის საფუძველზე.

3.პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს;

დანართი




















